დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მიერ „მულტიმედია რეპორტიორობის“ პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნანა ნატროშვილი
წევრები: ნანა ქობალია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **205355499**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 16 მარტის №282607 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 28 მარტს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯში (ქ.თბილისი, დ.უზნაძის №68), (შემდგომში-დაწესებულება), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 -ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, ხოლო ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მულტიმედია რეპორტიორობა“ (შემდგომში - პროგრამა) განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე, დაათვალიერა პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო აუდიტორიები და ბიბლიოთეკის კატალოგი, შეაფასა საგანმანათლებლო მატერიალური რესურსების რელევატურობა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუ ჩაატარა პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან. აღსანიშანვია, რომ დაწესებულება ახორციელებდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის N844 ბრძანების დანართი N13-ით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - რეპორტიორობა და წამყვანობა ჟურნალისტიკაში, საფუძველზე შემუშავებულ პროგრამას და აქტიურად მონაწილეობდა მულტიმედია რეპორტიორობის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გადამუშავებაში. ვიზიტი მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში ჩატარდა. სტანდარტის დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა. ექსპერტთა ჯგუფმა შეჯერებული პოზიციის საფუძველზე განმავითარებელი რეკომენდაციები გასცა.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.4.2.1 - **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი,ობიექტური.**
პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი, ხოლო ვალიდაციას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი. ვინაიდან პროგრამა ზოგად მოდულებსაც მოიცავს და პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად ცალკეული მოდულების განმახორციელებელი პირია, **რეკომენდებულია** ვალიდაციის პროცესში დარგის სპეციალისტი/შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირიც ჩაერთოს.

2.2.1.3 - **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**
პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათ პირად საქმეში არსებული ინფორმაციით. მასწავლებლების პროფესიული განვითარების ჩვენების მიზნით, **რეკომენდებულია** მათი პირადი საქმეების პერიოდული განახლება, განსაკუთრებით სამუშაო გამოცდილებისა და დარგში მიღწევების დამადასტურებელი დოკუმენტების.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მულტიმედია რეპორტიორობა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მულტიმედია რეპორტიორობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0321
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	№167205 18.02.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, დ.უზნაძის №68
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 - პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულება არის მონოპროფილური და მისი მისიაა აუდიოვიზუალური მიმართულების დარგებისთვის კვალიფიციური კადრების მომზადება, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, შემოქმედებითი ინიციატივების მხარდაჭერა და სტუდენტების ღია საზოგადოებაში ინტეგრაცია. დაწესებულების მიზანია საერთაშორისო ცნობადობის მოპოვება და მნიშვნელოვან აუდიოვიზუალურ პროექტებში პერმანენტული ჩართულობა. მულტიმედია რეპორტიორობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს აუდიოვიზუალური მიმართულების დარგებისთვის კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროგრამას, რომლის კურსდამთავრებულები შეძლებენ წარმატებით დასაქმდნენ როგორც რადიოში, ტელევიზიაში, ბეჭდურ და ონლაინმედიაში, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში ან იყვნენ თვითდასაქმებულები. დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია ოთხი მიღების განხორციელება ექვს (6) საგანმანათლებლო პროგრამაზე, შესაბამისად, მიღების გამოცხადებისთვის საჭიროა დაწესებულებამ მოიპოვოს განახლებული პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

განხორციელების უფლება. პროგრამა შემუშავებულია დადგენილი წესის შესაბამისად და მისი განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება დასაბუთებულ მონაცემებს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების გადაწყვეტილება მულტიმედია რეპორტიორობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2.1.1.2 - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
მულტიმედია რეპორტიორობის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. დაწესებულებას შიდა მარეგულირებელი აქტით დადგენილი აქვს დამატებითი პირობები პროგრამაზე ჩასარიცხად. კერძოდ, მეხუთე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება ორი გზით. პირველი, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე. მეორე, დაწესებულების მიერ ორგანიზებული საკონკურსო შერჩევის საფუძველზე. თითოეული შეფასების შედეგების ხვედრითი წილი საბოლოო შედეგის გაანგარიშებისას არის 50%.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1.1.3 - პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის 2025 წლის 21 იანვრის 46955 ბრძანებით (ცვლილების ბრძანება 93224 31/01/2025), რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და დაწესებულების რესურსებს. დაწესებულებას თავისი გამტარუნარიანობის მიხედვით ჯამში 105 სტუდენტის მიღება შეუძლია. ამჟამად სულ ხორციელდება 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, აქედან ერთი პროგრამა „რეპორტიორი“ მილევად რეჟიმშია. სრული დატვირთვის გათვალისწინებით, დაწესებულება მულტიმედია რეპორტიორობის პროგრამაზე 2 წელიწადში ერთხელ მიიღებს 15 პროფესიულ სტუდენტს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დასაბუთება შეესაბამება ზოგად მეთოდოლოგიას და რეალისტურია სხვა ავტორიზებული პროგრამების განხორციელების გათვალისწინებით.

2.1.1.4 - საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
პროგრამის თითოეული მოდული მოიცავს სასწავლო რესურსების ჩამონათვალს (ელექტრონული წყაროებისთვის მითითებულია ლინკები, ხოლო ბეჭდური რესურსებისთვის - ბიბლიოთეკის საინვენტარო ნომერი). პროგრამის ერთ-ერთ დანართში მოცემულია ინფორმაცია მატერიალური რესურსების შესახებ, რომლებიც დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად საკუთრებაში აქვს. ამრიგად, პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამით განსაზღვრული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები რელევანტურია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

2.1.1.5 - საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

2.1.1.6 - საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 18 თებერვლის №167205 ბრძანებით.

2.1.1.7- პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება ,,მულტიმედია რეპორტიორობა''. გამომდინარეობს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დასახელებიდან და მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან, შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

2.1.1.8 - პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს ,,მულტიმედია რეპორტიორობა''. პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა, მოდულები, დასაქმების შესაძლებლობები და სხვა. პროგრამის შემუშავების პროცესი განხორციელდა კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილ წესების დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები (დამტკიცების ბრძანება 421320 13/04/2023 - ცვლილების ბრძანება 607308, 31/05/2024);
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
4. ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ''. 2025 წლის 21 იანვრის 46955 ბრძანება (ცვლილების ბრძანება - 93224 31/01/2025).
5. საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობითა და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

6. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
7. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი;
8. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის აქვს შესაბამისად აღჭურვილი A, B და C სასწავლო გარემოები. სასწავლო აღჭურვილობა გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე ან გარე სივრცეში პროფესიული მასწავლებლების ჩართულობით. დაწესებულაბში არსებობს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღებას რესურსების გამოყენების და კმაყოფილების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მატერიალური რესურსები (მაგალითად, ფოტო/ვიდეო კამერა) მოითხოვოს, რაც გულისხმობს ტექნიკის დაწესებულებიდან დათქმული ვადით გატანას. აღნიშნული პროცედურა ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით დადგინდა, რომ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი ფიზიკურად არსებობს პროგრამის განხორციელების ადგილზე და რესურსები რეალურად გამოიყენება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2.2.1.2 - პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამას ჰყავს 35 განმახორციელებელი პირი. პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას და პროგრამის განხორციელების მდგრადობას. უმეტეს შემთხვევაში, ცალკეულ მოდულს ჰყავს 1-ზე მეტი განმახორციელებელი პირი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა შესაბამისობაშია შრომის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან.

2.2.1.3 - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

მასწავლებლის პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება დაწესებულების სამოქმედო გეგმით ყოველწლიურად არის გათვალისწინებული. მოდულის განმახორციელებელი პირი მოდულის დაწყებამდე გადის ინდივიდუალურ კონსულტაციებს სასწავლო დეპარტამენტის შესაბამის თანამშრომელთან. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ყველა მასწავლებელს აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. მათი უმეტესობა წლებია მუშაობს დაწესებულებაში. ასევე, გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგები/სემინარები. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათ პირად საქმეში არსებული ინფორმაციით. თუმცა, მასწავლებლების პროფესიული განვითარების ჩვენების მიზნით, **რეკომენდებულია** მათი პირადი საქმეების პერიოდული განახლება, განსაკუთრებით სამუშაო გამოცდილებისა და დარგში მიღწევების დამადასტურებელი დოკუმენტების.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის ყველა მასწავლებელი აკმაყოფილებს ინდიკატორის პირობებს და ეს გამყარებულია მათი პირადი საქმით.

2.2.1.4 - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ასრულებს ხელმძღვანელობით ფუნქციებს, რაც დასტურდება მისი სამუშაო აღწერილობით და დოკუმენტაციით. პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია ბრძანებით და მხარეებს შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.

2.2.1.5 - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში მატერიალური ან ელექტრონული სახით. საჭიროების შემთხვევაში, მოდულის დაწყებისას, პროფესიული სტუდენტებისთის სასწავლო რესურსების ელექტრონული ვერსიები MS Teams-ის შესაბამის ჯგუფებში იტვირთება. დაწესებულების სამკითხველო დარბაზი საჭირო ინვენტარით არის აღჭურვილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2.2.1.6 - სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებაში სასწავლო რესურსებთან სსსმ პირების ხელმისაწვდომობის საკითხი მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებში, რაც მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფას, მათ შორის სასწავლო რესურსების ადაპტირებას. განსაზღვრულია სავარაუდო აქტივობები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნვეყოფის და ადაპტირების მიზნით. დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომლის ფუნქციით გათვალისწინებულია საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო მასალის ადაპტირება/დამხარე სასწავლო რესურსის მომზადება მასწავლებელთან თანამშრომლობით. დაწესებულების პრაქტიკაში, სასწავლო რესურსების ადაპტაციისთვის გამოიყენება ისეთი ტექნიკები, როგორიცაა: შრიფტის გადიდება, საკვანძო ელემენტების ხაზგასმა, ვრცელი ტექსტიდან მოკლე შინაარსის ამოღება, ვიზუალიზაცია და აუდიო-ვიზუალური მასალის ტრანსკრიფცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

2.2.1.7 - პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამა ფინანსდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ მულტიმედია რეპორტიორობის პროგრამის მოდულები განფასებული არ არის, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი დაწესებულებამ შეადგინა წინამორბედი პროგრამების ,,რეპორტიორი'' და ,,ტელე-რადიო წამყვანის'' საპროგნოზო ბიუჯეტების შესაბამისად. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი აგებულია სტუდენტთა მინიმალურ შესაძლო ოდენობაზე და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის შემოსავლები ანაზღაურებენ მის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
3. დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსების, ტექნიკური ბაზის ფიზიკური დათვალიერებისა და შეფასების შედეგები;
5. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
6. პროგრამის ბიუჯეტი;
7. პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1 - პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის №611654 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ხარისხის მართვის ინსტრუქციები, რომლის მიხედვითაც მოდულის დასრულებისას ტარდება პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვა. გამოკითხვის, დასწრების, უკუკავშირისა და მასწავლებლებთან კომუნიკაციის შედეგად, მოდულში ცვლილების საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, საკითხს განიხილავს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი (შემადგენლობა დამტკიცებულია 2018 წლის 8 ივნისის №38 ბრძანებით, ცვლილება 2024 წლის 26 აპრილის №471817 ბრძანებით). დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთან პროფესიული საგანამანთლებლო სტანდარტების განახლების მიზნით. სწორედ, დაწესებულების ინიცირებით შემუშავდა ,,მულტიმედია რეპორტიორობის" პროფესიული სტანდარტი და პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში არსებული მექანიზმები ნამდვილად უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხის ობიექტურ შეფასებას პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

2.3.1.2 - პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულება 2018 წლიდან ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და განხორციელების პროცესში ინიცირება გაუწია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროგრამის მოდულების წინაპირობების ცვლილებას 2019 წლის 24 ოქტომბრის 1448229 წერილით. მიმდინარე ეტაპზე კი, დაწესებულების ინიცირებით, შემუშავდა „მულტიმედია რეპორტიორობის" პროფესიული სტანდარტი და პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტი და წარედგინა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 16 მაისის 539269 წერილით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დასტურდება (ტკიცებულებები):

1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; (სისტემის მოდელი: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება გადახედვა/გაუმჯობესება;
2. საგანმანათლებლო სტანდარტში ცვლილების ინიცირების წერილები;
3. ხარისხის უზურნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1 - პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროგრამის სასწავლო გეგმა შემუშავებულია იმგვარად, რომ დაცულია პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გონივრული ოდენობა (არ აღემატება 40 საათს). მოდულებს დაშვების წინაპირობები არ აქვს, თუმცა სასწავლო გეგმაში მათი ლოგიკური თანმიმდევრობა დაცულია. სასწავლო გეგმა ასევე ითვალისწინებს შუალედურ შეფასებასა და საკვალიფიკაციო გამოცდას. მოდულის დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო დეპარტამენტში წარადგენს კალენდარულ გეგმას, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მოდულის სწავლება.

2.4.1.2 - პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

სასწავლო პროცესი ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. დაწესებულება მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, მაგალითად, ხდება პროფესიული სტუდენტების წინასწარი ინფორმირება სასწავლო ცხრილების ცვლილებისას, საკონტაქტო საათების წინასწარ ჩატარებისას, გაცდენილი საათების შემთხვევაში აღდგენისას და ა.შ. დაწესებულების სასწავლო დეპარტამენტის ცნობით, პანდემიის პირობებში საჭირო გახდა პროგრამების ნაწილის დისტანციურ რეჟიმში განხორციელება. შეჩერდა ის მოდულები, რომელთა განხორციელებაც დისტანციურ რეჟიმში შეუძლებელი იყო. ამან გამოიწვია 2018 და 2020 წლების მიღების ჯგუფებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის საჭიროება. დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, სასწავლო ცხრილის დაგეგმვისას სპეციალისტი ცდილობს სტუდენტებს მოდულებს შორის თავისუფალი დრო არ ჰქონდეთ, რათა დრო ეფექტურად გამოიყენონ. ასევე, სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურების შემთხვევაში, თუ ცალკეულ სტუდენტს ეხება, თარიღის წინასწარი შეთანხმება ხდება პროფესიულ სტუდენტთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მოქნილია გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც პროგრამების შეძლებისდაგვარად შეუფერხებელ განხორციელებას ემსახურება როგორც ცალკეული სტუდენტისათვის, ისე მთელი ჯგუფისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2.4.1.3 - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება პრაქტიკული დავალებები, რომლის შესასრულებლად დაწესებულება სტუდენტებს უზრუნველყოფს შესაბამისი თანამედროვე აღჭურვილობით. დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, თითქმის ყოველწლიურად ახლდება სასწავლო აღჭურვილობა. დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პერსონალის დიდი ნაწილი დასაქმებულია დარგის წამყვან კომპანიებში. ასევე, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ყურადღებას აქცევენ აღნიშნულ საკითხს და ამახვილებენ ყურადღებას სტუდენტებმა აითვისონ დარგში მიმდინარე უახლესი ტენდენციები. დაწესებულება ყოველწლიურად მასპინძლობს საერთაშორისო გამოცდილების მქონე დარგის სპეციალისტებს სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც მასტერკლასებს ატარებენ პროფესიული სტუდენტებისთვის. ამავდროულად, პროცესში ჩართულნი არიან პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელები და დაწესებულების საწარმო დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებიც ეცნობიან დარგის შესაბამის უახლეს ტექნოლოგიებს უცხო ქვეყნის წარმომადგენლებისგან. ხოლო მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას სასწავლო პროცესში სტუდენტებს უზიარებენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება თვალყურს ადევნებს დარგის განვითარებას და რეაგირებს შესაბამის ცვლილებებზე.

2.4.1.4 - პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროცედურები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, სტატუსაღდგენილი და მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისთვის. ვინაიდან დაწესებულება მონოპროფილურია, სხვა პროფესიული სასწავლებლებიდან გარე მობილობით სტუდენტების მიღების გამოცდილება არ აქვს, თუმცა ხშირია შიდა მობილობა, რასაც ამარტივებს პროგრამებში საერთო დარგობრივი მოდულების სპეციფიკა. დაწესებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ან სტატუსაღდგენილი სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების არაერთი გამოცდილება აქვს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად იქმნება სამუშაო ჯგუფი სასწავლო დეპარტამენტის მენეჯერის, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის/მასწავლებლების შემადგენლობით. პროფესიული სტუდენტი ჩართულია შემუშავების პროცესში და აცხადებს თანხმობას ინდივიდუალურ გეგმაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში არსებობს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებზე რეაგირების კანონმდებლობით დადგენილი ინსტრუმენტები და პრაქტიკა.

2.4.1.5 - პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროგრამა სრულად ხორციელდება აკადემიის ბაზაზე, თუმცა გაცნობითი ექსკურსიების ორგანიზებისთვის, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შპს ,,ბი-ემ-ჯი''-სთან და სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელთან. დაწესებულება პარტნიორებთან მრავალი წელია თანამშრომლობს.

2.4.1.6 - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;

პროგრამა დარგობრივ კონტექსტში სპეციფიკური შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვას არ საჭიროებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო და კალენდარული გეგმები;
2. ინდ. სასწავლო გეგმები;
3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები(დამტკიცების ბრძანება 421320 13/04/2023 - ცვლილების ბრძანება 607308, 31/05/2024);
4. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1- პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების შიდა მარეგულერებელი აქტი - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები (მუხლი 52) აწესრიგებს პროფესიული სტუდენტის შეფასების საკითხებს. დაწესებულებაში სტუდენტის შეფასების პროცესს მართავს სასწავლო დეპარტამენტი. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს განმეორებითი შეფასებით, რისთვისაც განმსაზღვრელი შეფასების თარიღიდან ერთი კვირის ვადაში განცხადებით მიმართავს დაწესებულებას სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების მოთხოვნის შესახებ. განცხადებას განიხილავს სასწავლო დეპარტამენტის მენეჯერი და მოდულის განმახორციელებელ პირთან შეთანხმებით განსაზღვარავს სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების თარიღს. დაწესებულებაში არსებობს აპელაციის მექანიზმი, კერძოდ, თუ პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, მას შეუძლია წერილობითი მიმართოს დაწესებულებას, შეფასების შედეგების გაცნობიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივრას განიხილავს დირექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისია განმახორციელებლი პირის თანდასწრებით. დაწესებულებაში არ ყოფილა აპელაციის შემთხვევები. დაწესებულებაში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, 2023 წლის 15 თებერვლის 176835 ბრძანებით დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი, ხოლო ვალიდაციას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი. ვინაიდან პროგრამა ზოგად მოდულებსაც მოიცავს და პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად ცალკეული მოდულის განმახორციელებელი პირია, **რეკომენდებულია** ვალიდაციის პროცესში დარგის სპეციალისტი/შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირიც ჩაერთოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასების სისტემა მოიცავს და რეგულაცია არეგულირებს ყველა აუცილებელ კომპონენტთან დაკავშირებულ საკითხებს (პროცესი, ინსტრუმენტი, მტკიცებულება).

2.4.2.2- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულებაში არსებული რეგულაციების მუხლი მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმს, ასევე განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირების პასუხისმგებლობები. დაწესებულებაში ტარდება ვერიფიკაცია და დასკვნის საფუძველზე გაიცემა გარკვეული რეკომენდაციები, რომლის შესახებაც მასწავლებელთა ინფორმირებას და რეკომენდაციების სამუშაო პროცესში გათვალისწინებას უზრუნველყოფს სასწავლო დეპარტამენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2.4.2.3 - პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სწავლის შედეგის დადასტურების მტკიცებულებები ინახება უწყისის შევსებიდან 3 წლის განმავლობაში. მტკიცებულებების შესახებ ინფორმაცია აისახება შეფასების ინსტრუმენტსა და უწყისში. უწყისის ფორმა დამტკიცებულია 2025 წლის 21 იანვრის №37090 ბრძანებით. მასწავლებლის მიერ სასწავლო დეპარტამენტში მტკიცებულებების ჩაბარება ფიქსირდება მიღება-ჩაბარების ფორმით, რომელსაც მასწავლებელი და სასწავლო პროცესის დაგეგმვის სპეციალისტი ხელმოწერით ადასტურებენ.

2.4.2.4 - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის;

მოდულის განმახორციელებლები სწავლების მთელი ციკლის მანძილზე ატარებენ განმავითარებელ შეფასებებს, პროფესიული სტუდენტები შესრულებულ ნამუშევრებზე იღებენ განმავითარებელ კომენტარებს ზეპირი ფორმით. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტის ინიციატივის საფუძველზე, ინიშნება დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრები პროფესიულ მასწავლებელთან. დაწესებულებაში არსებობს შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მარეგულირებელი წესები. შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პრაქტიკა დაწესებულებას არ ჰქონია, ვინაიდან მათი სავალდებულოობა კანონმდებლობით დადგენილი წესით ვრცელდება 2024 წლიდან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი;
2. შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;
3. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

08.04.2025
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____